№ 50 7 მარტი, ოთხშაბათი 1866—1879 7 მარტი, ოთხშაბათი № 50

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Цалкე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა: ... ...

იყო: სიმღერები და ქორწილის ლხინიც რიგზე. სომეხი იმერელი რევსიმე და სხვანი ვინც გნებავსთ ამ მოთამაშეთაგანი საუცხოოთ იყვნენ მაგრამ ქეზელმა ანდრონიკაშვილმა და დუჩაიძის ქალმა, რომ ითამაშეს თავთავის როლები ის კი მართლა და შესანიშნავი აქტიორების საკადრისი იყო.

„პუბლიკა ძლიერ კმაყოფილი დარჩა, ასე გაშინჯეთ, რომ ვისაც ქართული არ ესმოდათ, ისინიც კი აღტაცებაში მოვიდნენ. ერთმა გამოჩენილმა გვამმა მითხრა იქ: „თუ ის ხალგი საიდამაც ამისთანები გამოდიან (ხელი მიმიშვირა მოთამაშეებზედ) უნდა მოკვდეს? ნუ თუ შესაძლებელია მისი გადასხვაფერებაო?“

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 1 მარტს. ამ წერილის სათაურშიე მომაგონდა ერთი ანეგდოტი, რომელიც მოვისმინე ჩემის რუსეთიდგან მოსულ მეგობრისაგან. თურმე ჩრდილოეთისკენ ჩემს მეგობარს შეხვედა ერთი ნამგზავრი ტურისტი, მცნობი სიღნაღისა გამველელი მგზავრის თვალით, და გაიგო-რა, რომ სიღნაღელი ინახულა, მოუყვა საუბარი ამ კილოზე: „თქვენ სადაური ბრძანდებითო?“—სიღნაღელიო, უყო პასუხათ. იმ ქალაქიდამ სადაც დიდყურა მხეცები ბლომათ არიანო?

— ამ კითხვას ჩემი მეგობარი გაეწაწყინებინა და გადასახდელათ მოულოდნელი უკადრისი პასუხი მიეცა: „დიახ, სიღნაღში თქვენ დროს უფრო ბლომათ გახლდნენო“. ყველა ალაგს განსაკუთრებითი რამე ხასიათი აქვს, ნამეტნავათ, პროვინციების მიყრუებულ ადგილებ საკურველი ერთნაირი ბეჭდით არიან დამღაებულნი, ასე რომ მათ შორის ღირსეული ყურადღებისა ვითარებანი ძნელათ მოიპოვებიან, რითაც შეეძლოს კაცს ერთი პროვინცია მეორესაგან განარჩიოს. ამისთვის წვრილმანი ნიშნები მიიზიდავენ უცნობელთ ყურადღებას და აჯერებენ კაცს, ვითომც იგინი შეადგენდნენ განვითარებულ განსხვავებას. ამ გზით დასკვნის მეძიებელნი ხშირათ სცდებიან და ჩემი მეგობრის ოპპონენტიც ამ კატეგორიაში ჩათვლილა, რის გამოც მიეტევება მით უფრო, რომ დიდ-ყურა მხეცი, დაბიურ ენაზედ წოდებული ვირათ, ჩრდილოეთის მცხოვრებლებისათვის შეადგენს იშვიათ მხილველობას. ბამლელი თვალის შთაბეჭდილებით სჯიდა, და თუ ცოტას ხანს მოტრიალდებოდა და ჩვენ შინაური ცხოვრების წყობას გაშჩხრეკდა, მაშინ ნამდვილ ხარაქტერისტიკას გამოიყვანდა; ხარაქტერისტიკას, რომელიც ცხადათ გამოაშკარავებდა პროვინციის წყობა-ცხოვრებას, პროვინციასას, რომელიც მიკედლებულია მარტო დიდიურს გართობას, რომელმა არ იცის უკეთესი ინტერესი გარდა თავისი პიროვნობის თავდაცულობისა.

საკვირველია, რომ სიღნაღი ამ უკანასკნელ ჟამს გარდაიქცა საცემა-ტყეპა არენათ. ცემა-ტყეპამ აქ გაიდგა იმოდენათ ბურჯი, რომ მოგვაგონებს ცხონებულ პირველ კაცის ცხოვრებას. არ შეიძლება კაცს რამე აწყინო, რომ მაშინვე მუშტებს არ მიმართონ. ბანა დიდი ხანია, რაც დისტანციონი ნაჩალნიკმა უეზდის უფროსის თანაშემწე შუადღეს შუა ბეზარში გატყეპა, განა სიღნაღის პროცესი სამხედრო სუდში გუშინ არ გათავდა, განა კარგა ხანია, რაც ორი ბერი კაცი დაეტაკნენ?.. ერთის სიტყვით მუშტის უფლება დამყარდა პირველ—ყოფის სისრულითა.

ამ დღეებშიაც შუა დღეს, მეიდანზე, ვილაცა კოლეჭსკის რეგისტრატორი, მივარდნია მოხუცს ვგონებ კოლეჭსკი ასსესორს და გასაწურთნავი სიღლები ურტყავს. ბანა შეიძლება ამაზედ მეტი გაშმაგება წარმოიდგინოს კაცმა?

პირველი ადამიანი, რომელიც ფიზიკური ღონით იცავდა თავსა, მართალი იყო, რადგან გონებითი და ზნეობითი მხარეები მისს ბუნებისა განუღვიძებული იყვნენ. მაგრამ ეხლანდელ კაცსა—ქალაქის მცხოვრებს, პირველ კაცისთვის წინ ვერ გაუსწრია! ნამეტნავათ ჩინოვნიკებს, რომელნიც ითვლებიან პროვინციის განმანათლებლებათ, ამ გვარი საქციელი საზიზღარათ არ უნდა მიაჩნდეთ? თუ არ მიაჩნიათ იმ მიზეზით, რომ ამ გვარი ქმნილებანი განსხვავდებიან პირველ ყოფა ცხოვრებიდგან მარტო ტანსაცმელით და სამსახურის კვერთხის ტარებით. მაშ ჩვენი პროვინცია ისე დაცემული ყოფილა, რომ გონებითი ღირსება და ზნეობითი პატიოსნება უკანასკნელ პლანზე მდგარა. ეხლანდელი კაცის სიმშვენიერეს არ შეადგენს იარაღი, ღვინის სმა. ეს თვისებანი მოუბრუნებელ დროებას ეკუთნის. ჩვენი ჟამის კაცის სიმშვენიერე დალა ზათი.გამოიხატება გონებითი სიმაღლეში და ზნეობითი უბიწოებაში. ჩვენი დროის იარაღი კალამია, ასპარეზი—საზოგადობრივი სინიდისი, ეს უნდა უდგეს თვალს წინ ყოველ განათლებულ კაცს და ნამეტნავათ პროვინციის მოსამსახურე პირს. ჩვენი სინიდისის გაფუჭება, ჩვენი ზნეობითი დაცემა თვალებსა გვთხრის. ნამეტნავათ ცხადათ ხედავენ ისინი, რომელნიც არ ერევიან საზოგადო საქმეთა ხრინკანობაში. ერთი და იგივე საშუალება ჩვენში სხვა-და-სხვა შემთხვევაში სხვა-და-სხვა ნაირათ მიიღება ხოლმე. ამას მაგალითათ აგიხსნით. პროვინციისათვის რომელიმე სატახტო მკვახი გაზეთი შემარყეველ ბებერათ გახდება ხოლმე დაყრუებულ საჯიანშველოში. თუ ჩვენ შეგვეხება რამე. მე თუ მაწყენინა ვინმე, მაშინვე მას ძველ და ახალ ცოდვებს მოუკრეფამ და გაზეთში დავაბეჭდინებ, მოვიდა გაზეთი, კითხულობენ, მე ვიცინი, სხვებიც დასცინიან, ვისაც შეეხება ის კი გარკინებული დაიარება. მე გამხიარულებული დავიარები, გაზეთს ვაქებ, კიდეც ვკითხულობ. აი ღმერთმა ბრძანა და იმავე გაზეთში ჩემზეც [illegible] გამოტყვარა, ჩემი ცოდვებიც [illegible] და. მაშინ სულ-მოკლე ვხდები, ვჯავრობ, აღარაფერი მიამება, გაზეთს ელანძღავ, ვაძაგებ და ვსცდილობ და მწერს რითმე გადაუხადო. თუ თავში მიძევს რამე, ზნეობითი სულგძელობა მაბადია, სინიდისი მაქვს სიმართლეს მივყვები და თუ არა და მუშტს მოვიხმარებ. სწორეთ ზნეობითი სულ-მოკლეობა, გონებითი გაუხსნელობა, გარყვნილობა, ბიწიერი გახალასნობა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო იძულებულად გვხდის მუშტის-კრიობას მივაწვეთ. ცემა, მუშტაობა, გაფუჭებული ენით ლანძღვა ამგვარ კაცებისთვის შეადგენს იმგვარსავე მოთხოვნილებას, როგორც საზრდოს მიღება მშიერ ქმნილებისათვის. ეს გახლავთ ჩვენი ისტორია, ჩვენი ზნეობითი ხასიათი, ჩვენი გონებითი ძალა. დასკვნას გამოკვლევას დროებას და ჟამს მივანდობთ.

* * *

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ბუშინდელ ნომელში დაბეჭდილი იყო ტელეგრამმა მერსალიდამ, რომელიც გვაუწყებს, რომ ნაციონალურ კრებამ უარ ჰყო ბროჰლი და ფურტუს სამინისტროს სამართალში მიცემაზე და გამოსთქვა მხოლოდ მის გაკიცხვა. ამას გარდა გაზეთებში იწერებიან, რომ ახლანდელის შინაგან საქმეების მინისტრის დე-მარსერის მაგიერათ დაინიშნა ლეპერი. პოლიციის პრეფეკტათ დანიშნეს ანდრიო. ასე რომ საქმები,რომელიც უფრო აღელვებდნენ ნაციონალურ კრებას და მთელ საფრანგეთსაც, — ამნისტია, ბროჰლი-ფურტუს სამინისტროს სამართალში მიცემა და პოლიციის პრეფეკტის გამოცვლა,—ეს საქმეები ახლა დასრულებულნი არიან.

— ხმა დადის, ვითომც საფრანგეთს უნდოდეს, ინგლისის მიბაძვით, კუნძულის როდოხის დაჭერა. ამ ამბავმა ააშფოთა ბერმანიის გაზეთები, რომელთაც დიდათ ეშინიათ საფრანგეთის გაძლიერებისა; მაგრამ აქამდის ეს ხმა არაფრით არ დამტკიცებულა და იქნება ცარიელი ჭორი გამოდგეს.

ბოლგარია.

ბოლგარიის გენერალ-გუბერნატორი, თავ. დანდუკოვ-ქორსაკოვი ინგლისის და საფრანგეთის ფინანსისტებთან მოლაპარაკებაშია ბოლგარიის ნაციონალურ ბანკის დაარსებაზე. ბანკის თავნი იქნება ექვსნი მილიონი ფრანკი და გაიხსნება ტირნოვოში.

თავ. დუნდუკოვს იმედი აქვს თავისი განზრახვა ნაციონალურ კრების შემწეობით და დახმარებით აასრულოს.

— ოსმალო დეპუტატებმა ბოლგარიის ნაციონალურ კრებისა ითხოვეს, რომ მათ უფლება მიეცესთ კრებაშ'ი

თავიანთ ენაზე ილაპარაკონ, მაგრამ პრებამ უარჰყო ამ წინადადებაზე და გადაწყვიტა, რომ პრებაში მხოლოდ ბოლგარული ენა იხმარონ.

სამართალი

ქუთაისის ოლქის სასამართლო

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ა ქ ტ ი *)

(გაგრძელება)

პოლიციის და გამომძიებლის გამოძიებით აღმოჩნდა, რომ საძაგლის-ხევის გზის მიმავალნი, იმ დროს როცა დაიკარგა სარრა, იყვნენ მცხოვრებნი შორაპნის უეზდისა დაბა საჩხერისა ურიები: Ისხაკ, Იაკობ და მოშა Აბრაამის ძენი Ცვინიაშვილნი, Შამუელ Არონის ძე და შვილი მისი ბიჭია, Ისხენ მარდოხის ძე და შვილი მისი მარდოხ ხუნდიაშვილი. Გამომძიებელის წინაშე პასუხის-გების დროს ზემოხსენებულ პირებმა, თუმცა უარს არ ჰყოფდნენ, რომ 4 აპრილს ამათ გაევლოთ საძაგლის-ხევის გზაზე, მაგრამ სარრა მოდებაძის მოტაცებაში და მოკვლაში დანაშაულობა არ აღიარეს. Ამასთან გამოაცხადეს: რომ სოფ. პერევისიდამ დაბა საჩხერამდე გზაზე არც ერთი პატარა გოგო არ შეჰხვედრიათ; რომ ხურჯინებში თან მიჰქონდათ ქათმები, ბატები, ლობიო და კოდლა; რომ მათ არა ჰსურთ აღწერონ ნიშნები იმ ცხენებისა, რომლებზედაც ისინი ისხდნენ, რადგანაც მათ ტყუილათ აპრალებენ მოდებაძის ქალის მოტაცებას; რომ ამის დამტკიცება შეუძლიანთ მრავალს მოწმებს ურიებს, რომელთაც ამათ დაასახელეს, მაგრამ რას იტყვიან მოწამენი მათს სასარგებლოს,—არა იციან-რა; რომ როდესაც ისინი შევიდნენ დაბა საჩხერში, გაიარეს ცოტაოდენი ბაზრის ქუჩით და მერე შეუხვიეს ვიწრო ქუჩაში, იმიტომ რომ სცხვენოდათ ხალხში ქათმებით და ბატებით გაევლოთ.

Ბრალდებულებთაგან ბიჭია შამუელის ძე ხუნდიაშვილმა აჩვენა, რომ ის მიდიოდა ცხენით და მამა მისი კი ფეხით. Ამას გარდა ყველა ბრალდებულებმა აჩვენეს რომ სამშაბათს, 4 აპრილს, ისინი მიდიოდნენ საჩხერში რიგ-რიგით. Ჯერ მიდიოდენ Ისხაკი, Შამუელი და ბიჭია ხუნდიაშვილები, რომელთაგან ერთი მიდიოდა ფეხით წინათ და სხვები კი იმაზე დაშორებით მოსდევდენ უკან. Თუმცა ბრალდებულები უარზე, დგანან სარრა მოდებაძის მოტაცებაზე საძაგლის ხევის გზაზე, მაგრამ გამოძიებამ კი აღმოაჩინა ბევრი პატივსადები იმათი გამამტყუნებელი საბუთები: 1, რომ ნამდვილი, 4 აპრილს, სარრა და მისი მაია წავიდნენ მამის სახლიდამ იმათი მეზობლის პავლე Ცხადაძის სახლში, ამას ამტკიცებს ჩვენება სარრის მამისა Იოსებ მოდებაძისა, დედისა პეკელასი, დისა მაიასი, ამათ გარდა პავლე, Დათა, Ტურფა და Ელისაბედ Ცხადაძეებთა, სოფლის სასამართლოს შიკრიკის Ივანე ქაპანაძის, სამსაჯულო პრისტავის მაჯაიასი და შიკრიკის სიმონ Წერეთლისა. Ამ მოწმებმა ერთხმით განაცხადეს, რომ 4 აპრილს, შუადღისას სარრა მოდებაძე მისი დით მაიით წავიდა მშობლებით სახლიდამ და გაემგზავრა პავლე Ცხადაძის სახლისკენ. 2, მოწმებთ: პავლე, Დათა, Ტურფა და Ელისაბედ Ცხადაძეებთა და მაია მოდებაძის ჩვენებით დამტკიცდა, რომ სარრა მოდებაძისა იყო იქ სადაც უმარილს სწვავდენ და რამდენიმე ხნის შემდეგ წავიდა ვიწრო გზით მშობლების სახლისკენ იმ დროს, როცა იმ ადგილზე გაიარეს ოთხმა ურიამ. 3, მოწამე Ტურფა Ცხადის ჩვენებით როდესაც ურიებმა გაიარეს იმათ ახლო, Ტურფას უნდოდა რამე ეყიდნა იმათგან მაგრამ ამათ უპასუხეს, რომ დრო არ აქვსთ იმათთან ვაჭრობისა. მერე Ტურფამ უთხრა სარრას: აი იმათ რომ ჩაუვარდე ხელში კარგ კაბას ჩაგაცმენო“. Ამ სიტყვების შემდეგ სარრა წავიდა იმ გზით, რომლითაც, მიდიოდნენ ურიები. 4, მოწმებთა Დიმიტრი ბეჟანის ძე Წერეთელმა, Გიორგი Დათიკოს ძე და Გიორგი Გრიგოლის ძე მოდებაძეებთა აჩვენეს, რომ იმათ დაინახეს სარრა მოდებაძისა ვიწრო გზიდამ ფართო შარაზე გამოსული შემდეგ გავლისა ოთხის ურიისა, რომელთაგან ერთი იყო ფეხით. Ამავე გზაზე, იმავე ხანში, გამოიარა სამმა ცხენოსანმა ურიამ. 5, სამსაჯულო პრისტავმა მაჯაიამ, რომელიც სამსახურის გამო იყო იმ დღეს ერთს ოჯახში, მახლობლად საძაგლიხევის გზისა, ნახევარ ვერსტზე, იმ ადგილიდამ, სადაც სარრა ვიწრო გზიდამ ფართო შარაზე გამოვიდა, ნახა ოთხი ურია გზაზე მიმავალი, მაგრამ სარრა კი არ უნახავს, საიდამაც გამოდის რომ სარრა იყო მოტაცებული ბრალდებულებისგან. 6, Გზაზე, ურიების გავლის დროს, მახლობლათ იმ ადგილისა, სადაც სარრა შარაზე გამოვიდა, მოისმოდა ყმაწვილის კივილი: ვაი, ვაი, დედავ მიშველე და ეს ხმა გამოდიოდა იმ ადგილიდამ სადაც ურიები იყვნენ. Ამას უჩვენებენ მოწმეები Გიორგი Დათიკას ძე მოდებაძე და Დიმიტრი ბეჟანის ძე Წერეთელი. 7, Ურიებთაგან მოტაცებული სარრა მოდებაძისა ერთმა ბრალდებულმა ჩასვა ხურჯინში, როგორც სჩანს მოწმის Დიმიტრი Წერეთელის ჩვენებიდამ.

როდესაც ამან გაიგონა კივილი „ვაი, დედავ, მიშველე,!“ მაშინვე გამოირბინა გზაზე და 25 ნაბიჯზე დაინახა შვიდი ურია, რომელთაგან ერთი ფეხის კაცი, აკრავდა ხურჯინს მეორე ცხენოსან კაცის უკან. Სამი წინ მდგომი ურიები უყვიროდნენ ამათ ჩქარა ჩქარაო?! 8, რომ შესაძლებელი იყო ძალით ჩატევა ხურჯინში სარრა მოდებაძისა ეს სჩანს იქიდამ, რომ, ბრალდებულ ურიებს იქ გავლის დროს ისეთი ტომრები ჰქონდათ მაგალითებრ, რომ ერთში ჰყვანდათ ჩასმული კარგა მოზდილი თხა. Იმდენა ბავშვი, როგორც სარრა მოდებაძისა ადვილათ ჩაიტეოდა ამისთანა ტომრებში, რომლებიც ურიებს ჰქონდათ, ამაზე საქმეში არის გამომძიებლისგან შედგენილი აქტი. 9, პერევისას სოფელთან მოტაცებული სარრა მოდებაძისა ურიებმა წაიყვანეს საჩხერეში. Ეს სჩანს მოწმის Გესო Გოგათიშვილის ნაჩვენებიდამ. Ამან პერევისსა და საჩხერის შუა გზაზე ნახა იმ დღეს გამვლელი ურიები და გაიგონა ბავშვის ოხვრა. Ამ დროს ერთმა ურიამ თხას ყური მოუგრიხა და თხის ყვირილმა ბავშვის ოხვრა ჩაფუშა.

სამსონ Გაჩეჩილაძეს საჩხერეზედ 5 ვერსტს, იმავე დღეს, როცა დაიკარგა სარრა მოდებაძისა შეხვდნენ მიმავალნი ურიები. Იმან შენიშნა ერთ ურიის ხურჯინში რაღაც სულდგმული, რომელიც იძვროდა და ჰკითხა თუ რა ყავდა იმას ხურჯინში. Იმან უპასუხა, რომ ბატები მყავსო. Გაჩეჩილაძემ უთხრა, რომ ასე წაყვანით ბატები დაიხოცებიანო, მაგრამ ამაზე ურიამ უპასუხა თუ დაიხოცება დიდი არაფერი დამეკარგებაო. Მოწამემ კარგათ ვერ ნახა თუ რა იყო ხურჯინში, რადგანაც ზევით დაყრილი იყო სხვა ბარგები. 10, საჩხერეში რომ ჩამოვიდნენ ურიები ბავშვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როგორც ამტკიცებენ მოწმები: სალომე პალმახელიძე, მაქსიმე ნადირაძე, ნატალია Დურმანიძე, პესარია ჩარკვიანისა, Ფეფე Ელამოვისა და ნატალის Თუშიშვილისა. Ესენი ამტკიცებენ, რომ 4 აპრილს, როდესაც ურიებმა გაიარეს ბაზრის ქუჩითა იმათ გაიგონეს ბავშვის ტირილი და ოხვრა. Ამ მოწმების ჩვენებისგან სჩანს, რომ ურიები ცდილობდნენ ჩაეფუშათ ბავშვის ოხვრა. Ისინი მიდიოდნენ ხმა მაღლა ერთმანერთთან ლაპარაკით და ერთი ურია მათრახით სცემდა თხას, რომელიც ყვიროდა. Სჩანდა რომ ისინი რაღასგანაც იყვნენ აღელვებულნი. 11, ბევრის მოწმების ნაჩვენებიდამ სჩანს, რომ Იოსებ მოდებაძესა და ურიებთ შუა არავითარი მტრობა არ იყო, რითაც მტყუნდება ურიების Ცალ-ფ იუ გამართლება, ვითომ მტრობით Ცილ-გონათ ესე ვითარი ცილის-წამება. Ამ ნაირათ ყველაფერი ამტკიცებს, რომ სარრა მოდებაძისა 4 აპრილს, ებრაელთ პასექის წინადღეს, იყო მოტაცებული ურიებისგან საძაგლის-ხევის გზაზე. Მოტაცებული ბავშვი ძალათ ჩასვეს ხურჯინში ზედ დააყარეს სხვა ბარგები და წაიყვანეს საჩხერეს, 15 ვერსტზე. Იქიდამ იმისი გვამი, წახჩობის ნიშნებით, წაიღეს და დაავდეს Დარბაიძის სოფელში, ორ-ნახევარ ვერსტზე პერევისიდამ.

Გამოძიების გარდა აღმოჩნდა, რომ 6 აპრილს, ხუთშაბათს, შუადღისას, ბრალდებულთ მეზობელმა და ნათესავმა ურიამ, მიხაილ Ელიქიშვილმა, მოირბინა შორაპნის უეზდის თავად-აზნაურების წინამძღომელის თავადის სიკო Წერეთლის სახლში და სთხოვა მის ბიჭებს და შინაურებს, რომ ეჩვენებინათ მისთვის თავად-აზნაურების წინამძღომელი, რადგანაც ერთი რამ ძნელი საქმე უნდა გაენდო მისთვის. Თავადთ Დარია და Ელისაბედ Წერეთელთ მოურავს Გაანა Იაკობიძისა და მოსამსახურეთა Დათია Ოლიაძის და Შაქარისახარის კითხვებზე

*) „Დროება“, № 49 და 50.

ელიქიშვილმა უპასუხა: ჩვენმა ურიებმა აწვალეს ერთი თქვენი ქრისტიანი, ჩვენებმა აწვალეს ქრისტიანის ბავშვი“. ამასთან იმან აგინა ებრაელი სარწმუნოება, რომელსაც უწოდა ღორულ სარწმუნოებათ. ამ მოწმების ჩვენებით თავად წერეთლის ეზოში შემოცვივდნენ ურიები, მისცვივდნენ მიხაილ ელიქიშვილს და ზეზე გაიტანეს ეზოდამ. გამომძიებლის კითხვაზე ელიქიშვილმა რომელიც მთელი თვე სხვაგან იყო, უარი სთქვა მისგან თქმული სიტყვებისაგან. იმას არ ახსოვს იმ დღის არაფერი, რადგანაც იყო ძლიერ მთვრალი. ეს ჩვენება მიხეილ ელიქიშვილისა არ იმსახურებს არა ვითარს ყურადღებას. თავადთ დარია და სხვების ჩვენებიდამ სჩანს, რომ ელიქიშვილი როდესაც ამათ წინამძღომლის ეზოში უამბო მათ ურიებთაგან ქრისტიანის წვალება არ იყო მთვრალი არამედ მყო მცირედ აღელვებული მაგრამ სრულს ჭკუაში და კარგათ მცოდნე იმისა, რასაც ამბობდა.

განცხადებანი

ხეხილების გაყიდვა

ზუბინის მეიდნის ბალაგანში, ცირკის ახლო, ამ თებერვლიდამ **ისყიდება სხვა-და სხვა გვარი ხეხილები** იოსებ იაკობის ძის ილიაშევიჩის ყარაიაზის მამულიდან მოტანილი. ამ ხეხილების სიდიდე არის არშინ-ნახევრიდამ ერთ საჟენამდინ. თითო ისყიდება ორ აბაზათ. ეს ხეხილები დაყნულია სხვა-და-სხვა საუკეთესო ევროპიულ და აზიურ ხეებიდამ. (7—6)

„ჯაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
მ. ჯორჯაძისა

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაობა“

ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში. აგრეთვე უფ. შაევერდოვის გაზეთის საагენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для (грузинъ—შედგენილი გ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი**—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალი მული და მაშენიკები**—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება** — — — 25—

17) **„ბუტიაობა“** ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი** — — — — 30 —

20) **მგოსანი—ლექსები**— 20 —

21) **ანუკა ბატონიშვილი** 20 |

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვ რილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 6 მარტს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	20
ქერი ფუთი	1	10
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	40
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი.	6	50
—თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	45
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	70
თამბაქო, ხაშური ფთ.	7	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Марта 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.